სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის
სახელმწიფო უნივერსიტეტის

რექტორის ბრძანება

№01-04|48 30.06.2020 წელი

ქ. ქუთაისი

30 ივნისი 2020 წელი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რიგი პერსონალის დაკავებულ თანამდებობასთან/შესასრულებელ სამუშაოსთან კვალიფიკაციის ან პროფესიული უნარ-ჩვევების შესაბამისობის დადგენის მიზნით პერსონალის ატესტაციის ჩატარების ფორმების, თარიღის და დროის, ასევე საატესტაციო მოთხოვნების შესახებ

2019 წელს დაკავებულ თანამდებობასთან/შესასრულებელ სამუშაოსთან კვალიფიკაციის ან პროფესიული უნარ-ჩვევების შესაბამისობის დადგენის მიზნით ჩაუტარდათ ატესტაცია სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის იმ ასოცირებულ პროფესორებს, რომელთა ხელშეკრულება გადაზრდილია განუსაზღვრელ ვადაში. ავადმოყოფობის გამო ატესტაცია ვერ ჩაუტარდათ სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის შემდეგ ასოცირებულ პროფესორებს: ტარიელ ჭიღვარია (მიმართულება - მსოფლიო ისტორია) და ალექსანდრე ჩუბინიძე (მიმართულება - ქიმია, ქვემიმართულება არაორგანული ქიმია).

„სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის დაკავებულ თანამდებობასთან/შესასრულებელ სამუშაოსთან კვალიფიკაციის ან პროფესიული უნარ-ჩვევების შესაბამობის დადგენის (პერსონალის ატესტაციის) ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომაგენლობითი საბჭოს 2019 წლის 28 მარტის №13 დადგენილებისა და საქართველოს ორგანული კანონის საქართველოს შრომის კოდექსის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დაკავებულ თანამდებობასთან/შესასრულებელ სამუშაოსთან კვალიფიკაციის ან პროფესიული უნარ-ჩვევების შესაბამისობის დადგენის მიზნით ჩაუტარდეთ ატესტაცია სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის შემდეგ თანამშრომლებს:

ა) ტარიელ ჭიღვარია - ასოცირებულ პროფესორი, მიმართულება - მსოფლიო ისტორია;

ბ) ალექსანდრე ჩუბინიძე - ასოცირებული პროფესორი, მიმართულება - ქიმია, ქვემიმართულება არაორგანული ქიმია.

2. ცნობად იქნას მიღებული, რომ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ატესტაციის ჩატარების პირობები, კერძოდ: ატესტაციის ფორმები, მეთოდიკა და თემატიკა, ატესტაციში მონაწილეთა შეფასების კრიტერიუმები, საატესტაციო კომისიის შემადგენლობა და კომისიის მუშაობის წესი და ატესტაციასთან დაკავშირებული სხვა პირობები განსაზღვრულია „სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისპერსონალის დაკავებულ თანამდებობასთან/შესასრულებელ სამუშაოსთან კვალიფიკაციის ან პროფესიული უნარ-ჩვევების შესაბამისობის დადგენის (პერსონალის ატესტაციის) ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 28 მარტის №13 დადგენილებით.

3. ატესტაცია ჩატარდეს საქართველოს მთავრობისა და ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გამოცემული ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით დამტკიცებული რეკომენდაციების მკაცრი დაცვით.

4. ამ ბრძანებით გამოცხადებული ატესტაცია ჩატარდეს მონაცემების შემოწმების და გასაუბრების ფორმით.

5. ატესტაცია ჩატარდეს 2020 წლის 20 ივლისს.

6. ცნობად იქნას მიღებული, რომ ატესტაციის ჩატარების დრო შეთანხმებულია უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოსთან.

7. უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს დაევალოს 2020 წლის 02 ივლისამდე აცნობოს ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებულ ატესტაციას დაქვემდებარებულ პირებს ატესტაციის ჩატარების შესახებ.

8. საბუთების მიმღებმა კომისიამ საბუთები მიღება დაიწყოს 2020 წლის 02 ივლისიდან და დაასრულოს 2020 წლის 10 ივლისამდე.

9. შეიქმნას ატესტანტის მიერ წარმოსადგენი საბუთების მიმღები კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) ეკატერინე უკლება;

ბ) ირმა ზაქარაია;

გ) მარიამ რევიშვილი.

10. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე ღიად მისი საჯაროობისა და დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით.

11. უნივერსიტეტის კანცელარიამ უზრუნველყოს ამ ბრძანების საინფორმაციო დაფაზე განთავსება. უნივერსიტეტის მარკეტინგის, პროექტირებისა და ღონისძიებების მართვის სამსახურმა ეს ბრძანება განათავსოს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

12. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

უნივერსიტეტის რექტორი **პროფ. როლანდ კოპალიანი**